ანტიკორუფციული ბიურო

ბრძანება

14/11/2024

№ 00015394

წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18[1] მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 თებერვლის №81 დადგენილებით დამტკიცებული „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 05 აგვისტოს №5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ანტიკორუფციული ბიუროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, კომისიაში გაწევრების მსურველი კანდიდატებისთვის განისაზღვროს დამატებითი ვადა - 3 (სამი) დღე და კანდიდატებს მიეცეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ განცხადება და შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არაუგვიანეს 2024 წლის 17 ნოემბრისა;

2. სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (https://acb.gov.ge) 2024 წლის 14 ნოემბერს გამოქვეყნდეს წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია;

3. კომისიაში გაწევრების მსურველმა კანდიდატებმა წარმოადგინონ სსიპ - ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2024 წლის 24 ოქტომბრის N00014776 ბრძანების

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge

დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დამადასტურებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რაჟდენ კუპრაშვილი
ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი